დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის 2025 წლის 03 თებერვლის N 13 „ო“ ბრძანებით

სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობა

1. კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობა -კოლეჯის სტუდენტური წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანო, რომელსაც სურვილის შემთხვევაში ქმნიან კოლეჯის სტუდენტები და დამოუკიდებლად უძღვებიან მის საქმიანობას.სტუდენტური თვითმმართველობა კოორდინირებას უწევს სტუდენტთა სხვადასხვა საქმიანობას, მხარს უჭერს სტუდენტებს თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით მუშაობის პროცესში.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის შექმნა

1.სტუდენტური თვითმმართველობის შექმნა, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს.

2. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს , სწავლის დაწყებისას პსდ აწვდის ინფორმაციას,რომ მათ აქვთ შესაძლებლობა კოლეჯში შექმნან სტუდენტური თვითმმართველობა. ამ მიზნით, თვითმმართველობის შექმნისა და საქმიანობის წესი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განთავსებულია მათთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. სურვილის შემთხვევაში კოლეჯის სტუდენტები წერილობით მიმართავენ დაწესებულების ხელმძღვანელს სტუდენტური თვითმმართველობის შექმნის თაობაზე.

4. კოლეჯის ხელმძღვანელი ბრძანებით დაწესებულების პერსონალიდან განსაზღვრავს პირს, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს სტუდენტებს, თვითმმართველობის შექმნის პროცესში.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები

1. კოლეჯში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება საჭიროებისამებრ.
2. თითოეული სასწავლო ჯგუფიდან, მათი სურვილის შემთხვევაში , ირჩევა წარმომადგენელი/წარმომადგენლები, ხმათა უმრავლესობით.

3. სასწავლო ჯგუფებიდან წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯში არსებული სიტუაციით (რაც გულისხმობს სასწავლო ჯგუფების რაოდენობას, სტუდენტების რაოდენობას და ა.შ) . გამომდინარე აქედან, აღნიშნული განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელსაც რეკომენდაციებს სასწავლო ჯგუფებიდან წარმომადგენლების რაოდენობის თაობაზე წარუდგენს ადმინისტრაციის თანამშრომელი, რომელიც ჩართული იქნება თვითმმართველობის შექმნის პროცესში.

4. სტუდენტური თვითმმართველობა დაკომპლექტებულად ითვლება თუკი არჩეული იქნება მინიმუმ 7 თვითმმართველობის წევრი.

5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები თავიანთი რიგებიდან ასახელებენ თვითმმართველობის პრეზიდენტობის ორ კანდიდატს. კოლეჯის სტუდენტები დასახელებული ორი კანდიდატიდან ირჩევენ თვითმმართველობის პრეზიდენტს ფარული კენჭისყრის გზით.
6. თვითმმართველობისა და თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების თარიღები ეცნობება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციის წევრებსა და ყველა დაინტერესებულ პირს.
7. თვითმმართველობის წევრების დაკომპლექტებისა და თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების პროცესს უზრუნველყოფს ხმისდამთვლელი კომისია. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, ადმინისტრაციის თანამშრომელი ან სხვა პირი, რომელიც არ არის დაკავშირებული რომელიმე კანდიდატთან,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად;
8. თვითმმართველობის წევრების დაკომპლექტების, თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები აისახება ხმისდამთვლელი კომისიის სხდომის ოქმებში, არჩევნების ჩატარებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.
9. სტუდენტური თვითმმართველობა ფუნქციონირებს ექვსი თვის ვადით.
10. თუკი სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა 7 ზე ნაკლებია ასეთ შემთხვევაში თვითმმართველობას უწყდება ფუნქციონირება.
11. მე -3 მუხლის მეხუთე პუნქტის მეორე ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დროს შესაძლებელია ვადამდელი არჩევნების ჩატარება.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის სფერო

1. კოლეჯის სტუდენტური თვითმართველობა:
   ა)იცავს და წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების უფლებებსა და ინტერესებს;
   ბ) აწყობს ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო, ლიტერატურულ,სპორტულ,კულტურულ, გასართობ და კანონით ნებადართული სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.
   გ)თვითმმართველობა უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრებო და დონორ ორგანიზაციებთან.

მუხლი 5. კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის მექანიზმი

1. კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას უძღვება თვითმმართველობის პრეზიდენტი, რომელიც
   ა) კოორდინირებას უწევს თვითმმართველობის მუშაობას.
   ბ) აჟღერებს სტუდენტური თვითმმართველობის ინტერესებსა და საჭიროებებს კოლეჯის დირექცია/ადმინისტრაციასთან კომუნიკაციისას;
   გ) წარუდგენს ანგარიშს ყოველი თვის ბოლოს საერთო კრებას გაწეული საქმიანობის შესახებ;
   დ) იწვევს თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას;
2. იმ შემთხვევაში თუკი თვითმმართველობის პრეზიდენტი არ ასრულებს თავის ფუნქცია მოვალეობას, სტუდენტურ თვითთმართველობის წევრებს შეუძლიათ გადააყენონი იგი და ჩანიშნონ ახალი თვითმმართველობის პრეზიდენტს არჩევნები.
3. კოლეჯის სტუდენტური თვითმმართველობა იკრიბება საჭიროებისამებრ, შეხვედრებზე განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება ოქმში;

4. შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა ხდება შეხვედრაზე მყოფ პირთა ხმათა უმრავლესობით.

5. თვითმმართველობის წევრს თვითმმართველობის დატოვება შეუძლია ნებისმიერ დროს, თვითმმართველობის პრეზიდენტის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე;

6.კოლეჯის სტუდენტი ავტომატურად ტოვებს თვითმმართველობას- სწავლის დასრულების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევებში;